ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა

რა არის პროექტის არსი***?***

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების/ოჯახების რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა.

ვინ არიან პროექტის ბენეფიციარები***?***

ქ. თბილისში რეგისტრირებული უსახლკარო პირები/ოჯახები.

რას მოიცავს პროექტი***?***

- დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისა და ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისთვის მიმართვის შემთხვევაში ოჯახს მიენიჭება უსახლკარო პირის სტატუსი.
- უსახლკარო პირების დაკმაყოფილება ხდება მხოლოდ თავშესაფრით.
- დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ოჯახს მიენიჭება უსახლკარო ოჯახის სტატუსი.
- სტატუსის მინიჭების შემდეგ, მოხდება ოჯახის შეფასება ქულათა შესაბამისი სისტემით. ქულების მიხედვით განისაზღვრება საცხოვრისით დაკმაყოფილების რიგითობა.

კომენტარი: ოჯახის უსახლკარო ოჯახად რეგისტრაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის არ წარმოშობს უსახლკარო ოჯახის საცხოვრისით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახის საცხოვრისით დაკმაყოფილება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რესურსების შესაბამისად.

როგორ უნდა მიიღოს პირმა/ოჯახმა ბენეფიტი*?*

პირმა თავშესაფრის მიღების მიზნით, უსახლკარო პირად რეგისტრაციისთვის დადგენილი ფორმის განაცხადით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს (უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას), ფორმის შევსებისას მონიშვნის ფორმით უნდა გამოხატოს თანხმობა თავშესაფრით სარგებლობასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ პირი დარეგისტრირდეს უსახლკარო პირად, წესით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად, აუცილებელია მივიდეს ა(ა)იპ-ში.

განაცხადს თან უნდა ერთოდეს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი;
- შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის მოთხოვნილი გარემოებების არსებობა ან/და განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ

ოჯახმა საცხოვრისის მიღების მიზნით, უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციისთვის დადგენილი ფორმის განაცხადით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს (უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას).

განაცხადს თან უნდა ერთოდეს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი;
- შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის მოთხოვნილი გარემოებების არსებობა ან/და განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის შესახებ